ხელშეკრულება №18.06.2019

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გორი 18. ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი **სააგენტოს დირექტორის გელა კაპანაძის** სახით;

მეორე მხრივ, ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულების გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი **გაერთიანების დირექტორის მიხეილ ქოსაშვილის** სახით;

მესამე მხრივ, ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელობნების დაწესებულების გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი **გაერთიანების დირექტორის მერი არხოშაშვილის** სახით;

მეოთხე მხრივ, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი გიორგი ბოლოკაძის სახით

მეხუთე მხრივ, ა(ა)იპ მომავლის სოფელი (შემდგომში-მომწოდებელი) წარმოდგენილი მისი თავჯდომარის ოთარ მუზაშვილის სახით

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: , პროექტი „დაგვანახე შენი სოფელი”-ს ფარგლებში გამარჯვებული ვიდეორგოლების ბაზაზე – ვიდეოკლიპის მომზადების მომსახურება. შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: პროექტი „დაგვანახე შენი სოფელი”-ს ფარგლებში გამარჯვებული ვიდეორგოლების ბაზაზე – ვიდეოკლიპის მომზადების მომსახურება – (CPV 92111200 - სარეკლამო ვიდეოფილმების გადაღება)

3.ხელშეკრულების რაოდენობა და საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2 შესყიდვის ობიექტის სართო ღირებულებაა **3300 (სამიათასსამასი)** ლარი, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულებიდან თითოეული შემსყიდველის ვალდებულება შეადგენს მთლიანი ღირებულების 25 (ოცდახუთი) პროცენტს: **825 (რვაასოცდახუთი) ლარს.**

4.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მოთხოვნები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაამზადოს და შემსყიდველს გადასცეს პროექტი „დაგვანახე ჩემი სოფელი”-ს ფარგლებში გამარჯვებული ვიდეორგოლების ბაზაზე დამზადებული ვიდეოკლიპი და საინფორმაციო ვიდეორგოლი.
4.2 ვიდეორგოლის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წუთს.
4.3 ვიდეო რგოლები უნდა დამზადდეს მრავალფეროვანი და ხარისხიანი ვიდეომასალის ან კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით, ვიდეო რგოლის გამოსახულება არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ტექნიკური წუნის შემცველი, დაცული უნდა იყოს ხმის ბალანსი.
4.4 გადაღებული ვიდეო რგოლები უნდა შეესაბამებოდეს Fuii HD 1920X1080 რეზოლუციას, ვიდეორგოლები უნდა იყოს გადაღებული და დამონტაჟებული პროფესიონალი ოპერატორის, მემონტაჟის და ხმის რეჟისორის მიერ.
4.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ვიდეორგოლზე მსახიობის ხმის და მუსიკის დადება, რომელთა გამოყენებისას არ უნდა ირღვეოდეს საავტორო უფლებები.
4.6 ვიდეორგოლების ტექსტი უნდა დაიწეროს ქართული ლიტერატურული ნორმების სრული დაცვით: აუცილებელია გამართული მეტყველება-დიქცია.
4.7 პრეტენდენტმა ვიდეო რგოლების პროექტი-იდეა, ფორმატი, მუსიკა და სხვა ტექნიკური დეტალები უნდა შეათანხმოს შემსყიდველთან.

4.8 ვიდეორგოლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ხარისხიანი ვიდეოგამოსახულება, კადრირების სწორი რიტმი.
4.9 შექმნილ ვიდეო რგოლებზე შემსყიდველი იძენს საავტორო უფლებას, მიმწოდებლის მიერ ვიდეორგოლის გამოყენება უნდა შეთანხმდეს შემსყიდველებთან.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.
5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, სტალინის №16.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება თითოეული შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.3. შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან
გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით
განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე
შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს
დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 % ის ოდენობით.
9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი
შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვებამიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება,მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ისა.

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2019 წლის 31 აგვისტომდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 .წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.ფორს-მაჟორი

12.1 .მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2 მომსახურების შესყიდვის ინსპექტირებას, მიღება/ჩაბარებას, განახორციელებს თითოეული შემსყიდველის მხრიდან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ
შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და
მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით და ხარჯებით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო
მისამართი: გორი, სტალინის #16 (მშვიდობის გზ-რი 12ა)
საიდენტიფიკაციო კოდი: 418471031
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 3504100000

სააგენტოს დირექტორი გელა კაპანაძე:

Gela Kapanadze

Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.06.18 13:54:48 +04'00'

შემსყიდველი:

ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება
მისამართი: კასპი, სააკაძის ქ. #68
საიდენტიფიკაციო კოდი: 232559825
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22

union of cultural institutions of kaspi Munisipality

Digitally signed by union of cultural institutions of kaspi Munisipality
Date: 2019.06.18 15:56:52 +04'00'

გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება
მისამართი: ქ. ქარელი თამარ მეფის ქ.#18
საიდენტიფიკაციო კოდი: 440887649
მომსახურე ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22

NNLE the union of facilities of culture and art of kareli municipality

Digitally signed by NNLE the union of facilities of culture and art of kareli municipality
Date: 2019.06.18 16:17:29 +04'00'

გაერთიანების დირექტორი მერი არხოშაშვილი

შემსყიდველი:

ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის გაერთიანება

მისამართი: ხაშური, რუსთაველის მე-2 შესახვევი #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 243918070
მომსახურე ბანკი:სახელმწიფო ხაზინა
მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: GE24NB0330100200165022

United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development

Digitally signed by United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development
Date: 2019.06.18 17:37:55 +04'00'

გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

მომწოდებელი:

ა(ა)იპ მომავლის სოფელი

მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონო ს. ჯანაშიას ქ.#30/55
საიდენტიფიკაციო კოდი: 404482626
მომსახურე ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი“
მომსახურე ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: GE89BG0000000898668900

Village of the future

Digitally signed by Village of the future
Date: 2019.06.18 18:25:14 +04'00'

გამგეობის თავმჯდომარე ოთარ მუზაშვილი